ISFED
საქართველოს არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

უფლებამოსილების ვადის გასვლა, როგორც სკოლის დირექტორთა **დასჯის მექანიზმი**



NED
NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

ღია საზოგადოების ფონდი

თბილისი, 2021 წელი

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) და „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორთა შეხედულებებს

„მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! ნუ გარევთ სკოლის უწმინდესს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება!“

ილია ჭავჭავაძე
„შინაური მიმოხილვა”/1881 წელი

შესავალი

ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი დაწესებულებების პოლიტიზება საქართველოში საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, ხშირად ხდება საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების საარჩევნო კამპანიაში ჩართვის იძულება და ზეწოლის ბერკეტად სამსახურის შენარჩუნების გამოყენება. აღნიშნულმა პრობლემამ განსაკუთრებით 2018 წლის საპრეზიდენტო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას იჩინა თავი. „სამართლიანი არჩევნების“ მიხედვით, 2018 წელს, აქტიურად ხდებოდა მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევის და მისთვის არჩევნებზე ხმის მიცემის იძულება. ზეწოლის ბერკეტად გამოიყენებოდა საჯარო სკოლებში განხორციელებული დაუგეგმავი ინსპექტირებებიც. ერთ-ერთ ასეთ ფაქტს - ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლაში საპრეზიდენტო არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის ჩატარებულ არაგეგმიურ ინსპექტირებას - საბოლოოდ, სკოლის დირექტორის გარდაცვალება მოჰყვა.[1]

საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულებზე ზეწოლა 2020 წლის არჩევნებზეც თვალსაჩინო იყო. თუმცა, ამჯერად, პოლიტიკური მიზნებით ინსპექტირების ნაცვლად, „არასასურველი“ დირექტორების მიმართ სადამსჯელო მექანიზმად უფლებამოსილების ვადის ამოწურვა მოგვევლინა; 2020 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში, რამდენიმე დირექტორს, რომელთაც უფლებამოსილების ექვსწლიანი ვადა დაუმთავრდათ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხელშეკრულება არ გაუგრძელა, მაშინ როცა ზოგიერთი დირექტორი მოვალეობის შემსრულებლად დატოვა.[2] ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრაქტიკა არათანმიმდევრულია და ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების ნიშნებს შეიცავს. წინამდებარე ანგარიში სწორედ ამ საკითხს მიმოიხილავს. ანგარიშის მიზანია ნათელი მოფინოს 2020 წელს საჯარო სკოლების დირექტორების უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მოვალეობის შესრულების დაკისრების პრაქტიკას. ანგარიში ასევე მიმოიხილავს დირექტორების სასერტიფიკაციო გამოცდებისა და შესარჩევი კონკურსის გადადების ნეგატიურ გავლენას საარჩევნო პროცესებზე.

ძირითადი მიგნებები

2020 წლის შემოდგომიდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ[3] დირექტორების ნაწილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად აღარ დანიშნა და მათთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა. სამინისტრო ამ გადაწყვეტილებებს ხელშეკრულების ვადის ამოწურვით ხსნის, თუმცა, „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, გადაწყვეტილებები დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს.

---

[1] ინსპექტირება, როგორც სადამსჯელო ღონისძიება ზუგდიდის #6 საჯარო სკოლაში https://www.isfed.ge/geo/angarishebi/inspeqtireba-rogorts-sadamsdjelo-ghonisdzieba-zugdidis-6-sadjaro-skolashi

[2] 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები წინასაარჩევნო მონიტორინგის VI შუალედური ანგარიში; გვ. 9 https://isfed.ge/geo/2020-saparlamento/2020-tslis-saparlamento-archevnebis-monitoringis-VI-shualeduri-angarishi
2020 წლის საპარლამენტო არჩევნები წინასაარჩევნო მონიტორინგის V შუალედური ანგარიში; გვ. 20 https://isfed.ge/geo/2020-saparlamento/2020-tslis-saparlamento-archevnebis-monitoringis-V-shualeduri-angarishi

[3] 2021 წლის 16 მარტამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწოდებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საინისტროდ.

2014 წელს, კონკურსის წესით, სკოლების სამეურვეო საბჭოების მიერ შერჩეული და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დირექტორების უმრავლესობას უფლებამოსილების ექვსწლიანი ვადა 2020 სექტემბრიდან ეტაპობრივად ამოეწურა. 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, უფლებამოსილების ვადა 1003 დირექტორს გაუვიდა. ვადის ამოწურვის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მათი უმრავლესობა (891 დირექტორი) მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა, ნაწილი (112 დირექტორი) კი არა.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ საჯარო სკოლების დირექტორების უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მოვალეობის შესრულების დაკისრების პრაქტიკა და სამართლებრივი საფუძვლები სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 8 საჯარო სკოლის დირექტორის მაგალითზე შეისწავლა. ორგანიზაციის შეფასებით, მიღებული გადაწყვეტილებები არათანმიმდევრული და დაუსაბუთებელი იყო, რადგან მათი უმრავლესობა წარმატებულ დირექტორებად მიიჩნეოდნენ. დირექტორთა ხელშეკრულებების დიდი ნაწილის ვადის ამოწურვა 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებს ან მის შემდგომ პერიოდს დაემთხვა. ამდენად, მათი მოვალეობის შემსრულებლებად არდანიშვნა კითხვის ნიშნებს ბადებს გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ეჭვებს ამყარებს ისიც, რომ ხელშეკრულების არგაგრძელების მიზეზები ან შერჩევის კრიტერიუმები სამინისტროს არ განუმარტავს; გადაწყვეტილების დასაბუთების ერთადერთი არგუმენტი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა იყო.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ დირექტორთა ნაწილისთვის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნაზე უარის თქმა გამაფრთხილებელი ნიშანია სხვა მოვალეობის შემსრულებლებისთვისაც, რომ მათი ან მათი ოჯახის წევრების განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, შესაძლოა დირექტორის კარიერის ფასად დაუჯდეთ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდები გაურკვეველი ვადით, „ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებამდე“ გადადო და შესაბამისად, დირექტორთა კონკურსი არ ჩაატარა. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ საჯარო სკოლების ხელმძღვანელთა მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით დატოვება წინასაარჩევნოდ საჯარო სკოლების პოლიტიზების და მათზე ზეწოლის რისკებს ზრდის.

სამინისტრომ დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდა 2020 წლის დასაწყისში დანიშნა, თუმცა პანდემიის გამო გაურკვეველი ვადით გადადო. ეს კი, იმ ფონზე, რომ 2020-2021 წლებში ათიათასობით აბიტურიენტისა და პედაგოგის მონაწილეობით სხვადასხვა სახის გამოცდა ჩატარდა. სასერტიფიკაციო გამოცდა დირექტორთა შესარჩევი კონკურსის წინაპირობაა, შესაბამისად, დირექტორთა შესარჩევი კონკურსი 17 თვეა არ ცხადდება. შედეგად, ამ დრომდე, საჯარო სკოლებს ხელმძღვანელობენ მინისტრის მიერ დანიშნული დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლები ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებად მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული პირები. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ რადგან მოვალეობის შემსრულებელთა შრომითი უფლებების დაცვის მყარი საკანონმდებლო გარანტია არ არსებობს, მათი პოლიტიკური მიზნით მანიპულაციის რისკები საკმაოდ მაღალია.

დირექტორთა სასერთიფიკაციო გამოცდისა და კონკურსის გაჭიანურება

დირექტორთა შესარჩევი კონკურსი გასული წლის იანვარში დაიწყო. 2020 წლის 31 იანვარს საჯარო სკოლის დირექტორთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცდა;[4] ამავე დღეს გამოცხადდა დირექტორების შესარჩევი კონკურსის პირველი, სერტიფიცირების ეტაპის სარეგისტრაციო ვადები.[5] გადაწვეტილების შესაბამისად, 2020 წლის 3-17 თებერვალს,[6] განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალურ პორტალზე სასერტიფიკაციო გამოცდებზე დირექტორობის მსურველთა

[4] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №15/ნ; 2020 წლის 31 იანვარი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4785981?publication=0

[5] განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 31 იანვრის N1/1/10 ბრძანება

[6] 2020 წლის საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირება https://directors.mes.gov.ge/?fbclid=IwAR1f4-0FMX9FBrImeq7QEJjmShM3y_hZp746s58CBC0LkCsf_8-6XGvik0g

რეგისტრაცია განხორციელდა. გამოცდები 2020 წლის 6-7 მარტს დაინიშნა,[7], თუმცა პანდემიის პასუხად შემოღებული რეგულაციების გამო, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ დირექტორთა გამოცდების შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კითხვით მიმართა. საპასუხო წერილში[8] სამინისტრომ აღნიშნა, რომ 2020 წლის მარტში დანიშნული კონკურსი არ გაუქმებულა, არამედ პროცესი პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო შეჩერდა. წერილის თანახმად, შესარჩევი კონკურსის პირველი, სერტიფიცირების ეტაპი COVID-19-ით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ იგეგმება. **აღსანიშნავია, რომ სამინისტრო არ განმარტავს რა იგულისხმება კოვიდ-19-ით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში - უკავშირდება ეს დღიურ შემთხვევათა რაოდენობას, ვაქცინაციის პროცესს თუ პანდემიის დასრულებას.**

მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19-ის შემთხვევათა რაოდენობა 2020 წლის ზაფხულის ბოლომდე შედარებით დაბალი იყო, დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდები მაინც არ ჩატარებულა. ეს კი, იმ ფონზე, რომ ამავე პერიოდში შეუფერხებლად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ერთიანი სამაგისტრო გამოცდები და მასწავლებლობის მსურველთა გამოცდები.[9] ჯამში, ამ გამოცდებში 77 000-მა პირმა მიიღო მონაწილეობა. შესაბამისად, გადადების არგუმენტად კოვიდ-19-ის პანდემიის მოშველიება „სამართლიანი არჩევნებისთვის“ არასარწმუნოდ გამოიყურება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორთა გამოცდებზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა სულ 2,244 იყო - ბევრად ნაკლები ვიდრე, მაგალითად, მასწავლებლის სტატუსის მაძიებლებისა, რომლებმაც გამოცდები 2020 წლის ივლისში გაიარეს (12 000)[10]. სასერტიფიკაციო გამოცდები არც 2021 წელს ჩატარებულა, მაშინ როდესაც, კოვიდ-19-ის გაუარესებული მდგომარეობის მიუხედავად, დაუბრკოლებლად გაიმართა ერთიანი ეროვნული, ერთიანი სამაგისტრო, უფროსი სპეციალური მასწავლებლის საგნისა[11] და მასწავლებელთა გამოცდები.[12]

„სამართლიანი არჩევნების“ კითხვაზე დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდების თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განმარტა, რომ სკოლის დირექტორებს, რომლებთანაც შრომითი ურთიერთობა აღარ გაგრძელდა, უფლება აქვთ საქმიანობა გააგრძელონ მასწავლებლის პოზიციაზე ან **მონაწილეობა მიიღონ საჯარო სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე, რომელიც სერტიფიცირების ეტაპის დასრულების შემდეგ დაიწყება**. საგულისხმოა, რომ სამინისტროს ეს მითითება ფორმალურია, რადგან დირექტორთა შესარჩევი კონკურსის ჩატარება თვეების მანძილზე ჭიანურდება. საგულისხმოა ისიც, რომ იმ დირექტორებს, რომლებიც თანამდებობაზე კონკურსის წესით არიან დანიშნულნი და უკვე აქვთ სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული, გამოცდის ხელახლა გავლის ვალდებულება არ აქვთ. ამ კატეგორიის დირექტორებს, უფლება აქვთ დირექტორთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე, გამოცდის გავლის გარეშე ჩაერთონ, თუმცა ასეთი კონკურსი სამინისტროს აქამდე არ გამოუცხადებია.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ სამინისტროს მიერ დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდებისა და შესაბამისად, კონკურსის გაურკვეველი ვადით გადადება წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ კონკურსი განზრახ ჭიანურდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ საჯარო სკოლების

---

[7] საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #289 „საჯარო სკოლის დირექტორების მსურველთათვის ტესტირების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ხანგრძლივობის დადგენის შესახებ“: https://directors.mes.gov.ge/upload/brdzaneba.pdf

[8] კორესპონდენცია #MES 5 21 0000695467; 09/07/2021

[9] განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2020 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, გამოცდები სხვა უწყებებთან კოორდინაციით, უპრეცედენტოდ სრულფასოვან აკადემიურ გარემოში, თითოეული მონაწილის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სრული დაცვით ჩატარდა. მთავრობის ანგარიში საქართველოს მოქალაქეებს - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; 2020 წლის გამოცდები. გვ. 16 http://gov.ge/files/78044_78044_380617_.mes.gov.ge.pdf

10 “მასწავლებლობის მსურველებისთვის საგამოცდო პროცესი დაიწყო”; 22/07/2021 https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=10679

11“სპეციალური მასწავლებლებისთვის საგნის გამოცდა პირველად ჩატარდა“; 28/07/2021 https://www.mes.gov.ge/content.php?id=12395&lang=geo

[12] “ეკატერინე დგებუაძე მასწავლებელთა გამოცდების მიმდინარეობას 103-ე საჯარო სკოლაში გაეცნო” https://www.mes.gov.ge/content.php?id=12373&lang=geo

ხელმძღვანელთა მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით დატოვება წინასაარჩევნოდ საჯარო სკოლების პოლიტიზების და მათზე ზეწოლის რისკებს ზრდის. არსებობს საფუძვლიანი რისკი, რომ მოვალეობის შემსრულებლებმა წინასაარჩევნოდ მიღებული პოლიტიკური დავალებების შესრულების ხარისხი დირექტორთა კონკურსში გამარჯვების წინაპირობად მიიჩნიონ.

შერჩევითი მიდგომა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას

„სამართლიანმა არჩევნებმა“ საჯარო სკოლების დირექტორების უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მოვალეობის შესრულების დანიშვნა/არდანიშვნის პრაქტიკა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 8 საჯარო სკოლის დირექტორის მაგალითზე შეისწავლა. ამ მიზნით, „სამართლიანმა არჩევნებმა“ დეტალურად მოიკვლია თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოება; ორგანიზაციის წარმომადგენელი გაესაუბრა რვავე ყოფილ დირექტორს და სამინისტროსგან დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვა.

ორგანიზაციის შეფასებით, სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შერჩევითი და დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. გამოკითხული დირექტორების თანახმად, არსებობდა დირექტორთა წინასწარ შედგენილი სია, რომელიც საგანმანათლებლო რესურსცენტრებს გადაეცათ. ყოფილი დირექტორების თქმით, სიებში მითითებული იყო იმ დირექტორთა სახელები, რომლებიც მათი შემდგომი დანიშვნის მიზნით, რესურსცენტრს წინასწარ უნდა გაეფრთხილებინა, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამინისტროსთვის მიემართათ და მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების დაკისრება ეთხოვათ. იმ დირექტორებს კი, რომლებიც აღნიშნულ სიებში ვერ მოხვდნენ, მსგავსი მითითება არ უნდა მისცემოდათ და შემდგომში, მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე არ უნდა დანიშნულიყვნენ.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან 2021 წლის 3 მარტს გამოითხოვა[13]. საპასუხო წერილში სამინისტრო ზოგადი ინფორმაციით შემოიფარგლა და საჯარო სკოლების დირექტორების თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების საკანონმდებლო საფუძვლებზე გაამახვილა ყურადღება. კითხვაზე ვინ და რა ფორმით აცნობა საჯარო სკოლის დირექტორებს მათი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შესახებ, სამინისტრომ აღნიშნა, რომ ყველა დირექტორი, რომელსაც გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება, ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო. სამინისტრომ არ უპასუხა კითხვაზე რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა და ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილებები.

ყოფილი დირექტორები, რომლებიც „სამართლიანი არჩევნებს“ ესაუბრნენ, თავს დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლად მიიჩნევენ. მათი თქმით, ისინი წლების განმავლობაში დაუზოგავად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას; შენიშვნა ან სხვა ტიპის პასუხისმგებლობა არცერთ მათგანს არ დაკისრებია. მეტიც, ყოფილი დირექტორები აღნიშნავენ, რომ ისინი წარმატებულ დირექტორებად ითვლებოდნენ და არაერთხელ აქვთ მიღებული სამინისტროს სამადლობელი წერილები და ჯილდოები. მათი თქმით, სამინისტროს მიერ მოულოდნელად, დასაბუთების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება უსამართლო და დისკრიმინაციულია: ყოფილი დირექტორები მიიჩნევენ, რომ მათ ზუსტად უნდა სცდონოდათ რა კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილეს და რის საფუძველზე დასრულდა მათთან შრომითი ურთიერთობა.

[13] ორგანიზაციამ განათლების სამინისტროს შემდეგი კითხვებით მიმართა: რამდენ დირექტორს გაუვიდა უფლებამოსილების ვადა და რომელ სკოლებში; ვინ და რა ფორმით აცნობა საჯარო სკოლის დირექტორებს, რომ მათი უფლებამოსილების ვადა იწურებოდა, და ამ კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები; უფლებამოსილების ვადის დასრულების შემდეგ, ამ დირექტორებიდან რამდენი და რომელ სკოლებში დაინიშნა მოვალეობის შემსრულებლად; რა კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე დაინიშნენ უფლებამოსილების ვადა-ამოწურული დირექტორები მოვალეობის შემსრულებლებად; ზემოაღნიშნულ პერიოდში, საჯარო სკოლებში, დირექტორის პოზიციაზე განხორციელებული საკადრო ცვლილებიდან რამდენი იყო კონკურსის შედეგად დანიშნული პირი და რამდენი მოვალეობის შემსრულებელი და რომელ სკოლებში; კონკრეტულად ვინ და რა წესით იღებს გადაწყვეტილებას პირის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

ხელშეკრულების ვადის ამოწურვა - შრომითი ურთიერთობის დასრულების ფორმალური მიზეზი

2014 წელს, კონკურსის წესით, სკოლების სამეურვეო საბჭოების მიერ შერჩეული და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დირექტორების უმრავლესობას უფლებამოსილების ექვსწლიანი ვადა 2020 სექტემბრიდან ეტაპობრივად ამოეწურა.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დირექტორად შეიძლება გამწესდეს ამ კანონის შესაბამისად არჩეული ან დანიშნული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის 3 წლის სტაჟი და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დირექტორი ირჩევა/ინიშნება 6 წლის ვადით. ერთ სკოლაში პირის დირექტორად არჩევა/დანიშვნა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დირექტორთა კონკურსი ვერ ჩაატარა და 2013-2014 წლების პრაქტიკის მსგავსად, მოქმედ დირექტორებს უფლებამოსილება მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით გაუხანგრძლივდათ.[14] რესპონდენტებთან გასაუბრების შემდეგ, ირკვევა, რომ მათი ნაწილი მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნას ელოდა, ის დირექტორები კი, ვისაც კანონით დადგენილი ორჯერ თანამდებობაზე ყოფნის ვადა ეწურებოდა, ფიქრობდნენ, რომ კონკურსის გამოცხადებამდე მოვალეობის შესრულებას იმ სკოლებში გააგრძელებდნენ, სადაც მუშაობდნენ, ახალი კონკურსის გამოცხადების შემდეგ კი, სხვა სკოლაში ცდიდნენ ბედს. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიდგომა დირექტორების მოვალეობის შემსრულებლებად დანიშვნასთან დაკავშირებით თანმიმდევრული არ აღმოჩნდა. მეტიც, **ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ვლინდება, რომ არსებობდა ერთგვარი „არასასურველი“ დირექტორების კატეგორია, რომლებიც მმართველი პარტიისადმი უპირობო მორჩილებაზე უარის ან/და მათი ან მათი ოჯახის წევრების პოლიტიკური შეხედულებების გამო მოხვდნენ ამ კატეგორიაში.**

ყოფილ დირექტორებთან ინტერვიებიდან ირკვევა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ადგილობრივი რესურსცენტრის გამოყენებით, ერთგვარი მახე დაუგო „არასასურველ“ დირექტორებს. კერძოდ, რესურსცენტრმა „სასურველ“ დირექტორებს ინსტრუქცია წინასწარ მისცა, რომ დოკუმენტების ბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მიემართათ სამინისტროსთვის და მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა ეთხოვათ, „არასასურველი“ დირექტორებს კი, ასეთი მითითება არ მიუღიათ. ასე მაგალითად, მცხეთის მუნიციპალიტეტის, ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის ადგილობრივმა რესურსცენტრებმა „სასურველ“ დირექტორებს ამგვარი ინსტრუქცია მისცეს, ის დირექტორები კი, რომლებიც რესურსცენტრებისთვის გადაცემულ სიაში არ აღმოჩნდნენ, დროულად არ გაუფრთხილებიათ. ერთ-ერთმა დირექტორმა, **დოდო ჭოტორლიშვილმა** კოლეგა დირექტორებისგან გაიგო, რომ რესურსცენტრმა მათ ამგვარი ინსტრუქცია გასცა და თავადაც მოასწრო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამინისტროსთვის მიმართვა. ამის მიუხედავად, ჭოტორლიშვილი მოვალეობის შემსრულებლად მაინც არ დანიშნულა. ჭოტორლიშვილის მსგავსად, სამინისტროს ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მიმართა ხობის პირველი მაისის სკოლის დირექტორმა, **კობა კვიკვინიამ,** თუმცა ის მოვალეობის შემსრულებლად მაინც არ დანიშნულა.

„სამართლიანი არჩევნების“ კითხვაზე, თუ რა კრიტერიუმებისა საფუძველზე დაინიშნენ დირექტორები უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მოვალეობის შემსრულებლებად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტი მოიხმო, რომლის თანახმადაც:

14 მინისტრი უფლებამოსილია დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების 60 სასწავლო დღის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

„მინისტრი უფლებამოსილია დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების 60 სასწავლო დღის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნამდე, დირექტორის ფუნქციებს ასრულებს დირექტორის ის მოადგილე, ხოლო დირექტორის მოადგილის თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში – სკოლის ის თანამშრომელი, რომელიც მოვალეობის შემსრულებლად მითითებულია მართვის საინფორმაციო სისტემაში.“

განათლების სამინისტრომ, დირექტორებს, რომლებსაც მოვალეობის შესრულება აღარ დაეკისრათ, მსგავსი შინაარსის, შაბლონური წერილით უპასუხა. საგულისხმოა, რომ სამინისტრომ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონზე მითითებით, მინისტრის დისკრეციულ უფლებას გაუსვა ხაზი. თუმცა, „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში, მინისტრის გადაწყვეტილების დისკრეციული უფლებამოსილებით გამართლება, სამართლებრივად მიუღებელი არგუმენტია. პირთა ფართო წრის მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას, ერთ მდგომარეობაში მყოფი პირებიდან რამდენიმე პირის მიმართ არსებითად უთანასწორო, მათთვის საზიანოდ და **ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებისას დაშვებულ შეცდომას წარმოადგენს და ის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ კანონიერ გადაწყვეტილებად ვერ შეფასდება.**

გადაწყვეტილების მიღებისას, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კეთილსინდისიერებისა და კანონიერების პრინციპებით იხელმძღვანელოს. დიფერენცირებული, დაუსაბუთებელი და დისკრიმინაციული ხასიათის გადაწყვეტილება, რომელიც ობიექტური გარემოებებით ვერ აიხსნება, არ შეიძლება გამართლდეს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მითითებით.

მოცემულ შემთხვევაში, არცერთ ყოფილ დირექტორს, ვინც უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მოვალეობის შემსრულებლად არ დაინიშნა და მიზეზების გასარკვევად სამინისტროს შესაბამისი კითხვით მიმართა, სამინისტროსგან ინდივიდუალური, დასაბუთებული უარი არ მიუღია. სამინისტრო მხოლოდ შაბლონური, ზოგადი პასუხებით შემოიფარგლა, რაც ცალსახად ვერ აკმაყოფილებს გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტებს. გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად.[15]

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, ინდივიდებზე მორგებული მიდგომის არარსებობა და სათანადო დასაბუთების არქონა, ადმინისტრაციული ორგანოს კეთილსინდისიერების სავალდებულო ჩარჩოებში ვერ ჯდება. განათლებისა და სამინისტრომ ვერ გამონახა შრომითი ურთიერთობის დასრულების ისეთი ფორმა, რომელიც შაბლონურ ახსნას გასცდებოდა და ამომწურავ, დასაბუთებულ პასუხს გასცემდა სკოლის დირექტორებს, რომლებიც წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავის მოვალეობას.

[15] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 53, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=38

ინდივიდუალური საქმეები

1. მაია გრიგოლია - თბილისის 186-ე საჯარო სკოლა

მაია გრიგოლია ექვსწლიანი ვადით, ორჯერ იყო თბილისის 186-ე საჯარო სკოლის დირექტორი. მას შრომითი ხელშეკრულების მეორე 6-წლიანი ვადა 2020 წლის 8 სექტემბერს ამოეწურა. გრიგოლია არსებული პრაქტიკისა და კოლეგებისგან მიღებული ინფორმაციით, ელოდა, რომ 186-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნავდნენ, შემდგომში კი, სკოლის დირექტორებისთვის გამოცხადებულ საჯარო კონკურსში მიიღებდა მონაწილეობას სხვა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. გრიგოლიას თქმით, მას 2020 წელს კუთვნილი შვებულება არ გამოუყენებია და პანდემიის მიუხედავად, 186-ე სკოლა სასწავლო წლის დასაწყებად მოამზადა. მაია გრიგოლიას თქმითვე, დირექტორობის პერიოდში, მას გავლილი აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული „ლიდერობის აკადემიის“ სამი ეტაპი და მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი. მისივე ცნობით, მისი სკოლის დირექტორის სერტიფიკატი არის უვადო, 2019 წელს კი, ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წარდგენილი იყო საჯარო სკოლის საუკეთესო დირექტორად.

გრიგოლიამ სკოლის დირექტორის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ბრძანება დოკუმენტების ბრუნვის ელექტრონულ სისტემაში 2020 წლის 8 სექტემბერს მიიღო. ამავე დღიდან გაუუქმდა შესაბამის სერვისზე წვდომა. გრიგოლიას თქმით, ის დაუკავშირდა სხვა სკოლების დირექტორებს, რომლებსაც ასევე გასდიოდათ შრომითი ხელშეკრულების ვადა და მათგან გაიგო, რომ წინა დღეს მათ რესურსცენტრის ხელმძღვანელმა დაურეკა და უთხრა, რომ მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განათლების სამინისტროს სახელზე დაეწერათ განცხადება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნასთან დაკავშირებით. ვითარებაში გასარკვევად, გრიგოლიამ რესურსცენტრის ხელმძღვანელს მიმართა, რომელმაც უთხრა, რომ **იმ დირექტორების სია, ვისთანაც მას უნდა დაერეკა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიაწოდეს, მაია გრიგოლია კი, იმ სიაში არ ყოფილა და შესაბამისად, არც დაკავშირებია.** 9 სექტემბერს, გრიგოლიამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით მიმართა და 186-ე საჯარო სკოლაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა ითხოვა. თხოვნაზე უარი, გრიგოლიამ 20 ოქტომბერს მიიღო, შაბლონური პასუხით ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით.

მიღებულ გადაწყვეტილებას, მაია გრიგოლია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ უთანხმოებას უკავშირებს. როგორც ის აღნიშნავს, 2019 წლის დეკემბერში, 186-ე სკოლას დიღომში მშენებარე „განათლების ქალაქში“ მდებარე „მეგა სკოლის“ ახალაგებული შენობა უნდა გადასცემოდა. თუმცა, სკოლას 50 ათასი ლარის ოდენობის კომუნალური გადასახადების დავალიანება უნდა გადაეხადა, რაც გრიგოლიამ არამიზნობრივ ხარჯად მიიჩნია და გადახდაზე უარი განაცხადა. ამასთანავე, გრიგოლიამ შენობასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოწესრიგება მოითხოვა, მათ შორის ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების საბუთები. გრიგოლიას თქმით, მისთვის მნიშვნელოვანი იყო დარწმუნებულიყო შენობის უსაფრთხოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობდა, სამინისტრო მაია გრიგოლიას მოსწავლეთა სარეგისტრაციო განაცხადების მიღებას სთხოვდა. 2020 წლის 2 სექტემბერს, სატელეფონო საუბრისას, მოსწავლეთა მიღების პროცესის დაწყება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე დგებუაძემაც მოსთხოვა. გრიგოლიას თქმით, მის არგუმენტზე, რომ პროცესის დაწყებამდე შენობის შესახებ დოკუმენტაციის მოწესრიგება იყო საჭირო, დგებუაძემ მუქარის შემცველი და შეურაცხმყოფელი რეპლიკებით უპასუხა. 4 სექტემბერს, გრიგოლიას ინიციატივით, დგებუაძესთან პირისპირ შეხვედრა შედგა, რა დროსაც მან მინისტრის მოადგილეს სკოლის შენობასთან დაკავშირებული პრობლემები გააცნო. მინისტრის მოადგილემ დირექტორს უთხრა, რომ პრობლემის არსში გაერკვა და გადაწყვეტის გზები მოფიქრებული ჰქონდა. აღნიშნული შეხვედრიდან 5 დღეში, დგებუაძის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, 186-ე სკოლის მოვალეობის შემსრულებლად მაია გრიგოლიას ნაცვლად, თბილისის 64-ე საჯარო სკოლის დირექტორი, თამარ მამსიკაშვილი დაინიშნა.

გრიგოლია ამბობს, რომ 10 სექტემბერს ის თამარ მამსიკაშვილს, ამ უკანასკნელის თხოვნით შეხვდა. შეხვედრისას, მამსიკაშვილმა გრიგოლიას უთხრა, რომ სამინისტრო მზად იყო მის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად სხვა სკოლაში დასანიშნად, თუმცა იმ პირობით, თუ ის ოპოზიციური პარტიის წევრებთან მეგობრობას შეწყვეტდა და სატელევიზიო ინტერვიუების მიცემისგან თავს შეიკავებდა. გრიგოლიას ცნობით, იმავე დღეს, ის მართლაც დაიბარეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სადაც ის ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსს, ლალი კალანდაძეს შეხვდა. გრიგოლია აღნიშნავს, რომ ის კალანდაძისგან სხვა სკოლაში მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შეთავაზებას ელოდა, თუმცა უშედეგოდ. კალანდაძემ გრიგოლიას უთხრა, რომ სამინისტრო მის დანიშვნას არ აპირებდა და შეხვედრისას მხოლოდ იმის გაგება სურდა, შეექმნა თუ არა რაიმე პრობლემა 186-ე სკოლაში დანიშნულ თამარ მამსიკაშვილს სკოლის მართვის გადაბარების მხრივ. გრიგოლია ამბობს, რომ აღნიშნული შეხვედრა და საუბრის შინაარსი მისი ღირსების შელახვის და დამცირების მცდელობად აღიქვა.

საგულისხმოა, რომ „რადიო თავისუფლების“ მიერ გავრცელებული დოკუმენტების[16] მიხედვით, „მეგა სკოლის“ შენობა დღეს დანგრევის საფრთხის წინაშე დგას; ნაგებობას ბზარები გაუჩნდა და საძირკველში წყალი ჩადის. როგორც აღმოჩნდა, ტერიტორია მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს, რადგან ის „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ“-ის მაგისტრალური წყალსადენების ქსელის მიმდებარედ არის აშენებული და სპეციალური სადრენაჟე არხისა და ჯებირის მშენებლობას საჭიროებს. ამის აუცილებლობაზე, 2019 წელს, თავად კომპანია აფრთხილებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

გრიგოლია დასძენს, რომ მის მიმართ პოლიტიკური ხასიათის მინიშნებებიც იყო. ასე მაგალითად, 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებს ის სოციალურ მედიაში ხელისუფლებისადმი კრიტიკული პოსტებით გამოეხმაურა, რასაც მის პოსტზე ბოტების შეურაცხმყოფელი კომენტარები მოჰყვა. გარდა ამისა, ყოფილი დირექტორის თქმით, როცა შენობის დასათვალიერებლად მისულ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს ხელმძღვანელ დავით ფარცვანიას წითელი ფერის მერხებთან ფოტოების გადაღება შესთავაზა, ამ უკანასკნელმა მიუგო, რომ ფოტოებისთვის ლურჯი ფერის მერხები იქნებოდა უმჯობესი და დასძინა, რომ „მას ეტყობოდა, [რომ] ძალიან უყვარდა წითლები.“[17]

2. დოდო ჭოტორლიშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლა

დოდო ჭოტორლიშვილი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე, კონკურსის წესით, 2014 წელს დაინიშნა. ჭოტორლიშვილი თქმით, ის კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მუშაობის პერიოდში მას შენიშვნა ან სხვა ტიპის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. ჭოტორლიშვილი ცნობით, მისი დირექტორობის პერიოდში, სკოლამ არაერთი სიახლე შემოიღო, მათ შორის შეიმუშავა და დანერგა ხარისხის მართვის დოკუმენტი, რის შედეგადაც, სკოლის ყველა მასწავლებელმა მოიპოვა უფროსი პედაგოგის წოდება, ხუთი მასწავლებელი კი, წამყვანი პედაგოგის სტატუსის მოლოდინში იყო. ჭოტორლიშვილის თქმით, სწავლების ხარისხთან ერთად, გაუმჯობესდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც.

ჭოტორლიშვილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად აღარ დაინიშნა. სხვა ყოფილი დირექტორების მსგავსად, სამინისტრომ მასაც შაბლონური პასუხით გასცა და ხელშეკრულების ვადის გასვლაზე მიუთითა. ჭოტორლიშვილი გადაწყვეტილებას ოჯახის წევრების პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირებს და ფიქრობს, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია მერის წარმომადგენელმა სოფელ ქსანში, გიორგი ჯიქიამ, რომელმაც ჭოტორლიშვილს არაერთხელ მიუთითა, რომ მისი მეუღლისა და შვილის, ამირან და ბექა ლელუაშვილების პოლიტიკური აქტიურობა

[16] „განათლებისა და მეცნიერების ქალაქის მაგივრად სკოლა აშენდა და ისიც ინგრევა“ რადიო თავისუფლება; ივნისი 29, 2021 ნასტასია არაბული
https://www.radiotavisupleba.ge/a/31332268.html?fbclid=IwAR2sb1cWLdEMda2BU33Xgr6Mo3kTjDAeZP0nAGESnPZZreUZsIryHfOU6Tc

[17] წითელი ფერი ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლოგოს და კამპანიის ფერს წარმოადგენს.

მიუღებელი იყო. ლელუაშვილები აქტიურად იყვნენ ჩართული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიაში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი, მხარს უჭერდნენ ამავე პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს მცხეთა-მთიანეთის არჩევნო ოლქში, ცეზარ ჩოჩელს.

დოდო ჭოტორლიშვილი აღნიშნავს, რომ მის ნაცვლად დანიშნული სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნანა ქუმსიაშვილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში ქსნის ერთ-ერთი საუბნო კომისიის თავმჯდომარე იყო. ყოფილი დირექტორის თქმით, ქუმსიაშვილი გიორგი ჯიქიას ოჯახის ახლობელი და „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერია.

დოდო ჭოტორლიშვილის საქმე საქართველოს სახალხო დამცველმაც შეისწავლა. 9 ივლისს, განათლების სამინისტროსადმი გაგზავნილ რეკომენდაციაში, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ **საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ჭოტორლიშვილის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტას საფუძვლად პოლიტიკური შეხედულებების გამო დისკრიმინაცია დაედო.** დასკვნაზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა ოთხი რეკომენდაცია გასცა, მათ შორისაა სოფელ ქსნის საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ხელახლა ჩატარება და სკოლის დირექტორების მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის კრიტერიუმებისა და პროცედურების შემუშავება.[18]

3. კობა კვიკვინია - ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი, **კობა კვიკვინია,** იმ დირექტორთა შორისაა, რომელთაც რესურსცენტრმა წინასწარ აცნობა მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის თხოვნით მიემართა სამინისტროსთვის. სხვა დირექტორების მსგავსად, სამინისტროს კვიკვინიამაც მიმართა, თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, მის შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილებამ დაიგვიანა. კვიკვინიას თქმით, სკოლის პედაგოგები და მოსწავლეების მშობლები მის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნას ითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, მან სამინისტროსგან, სხვა ყოფილი დირექტორების მსგავსად, შაბლონური პასუხი მიიღო, ხელშეკრულების ვადის ამოწურვაზე მითითებით.

კობა კვიკვინია ხობის მუნიციპალიტეტში ერთადერთია, რომელსაც სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულება არ დაეკისრა. კვიკვინიას თქმით, სამინისტროს უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველი არ ჰქონდა, რადგან ის წარმატებით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სამაგალითო დირექტორად მიიჩნეოდა. კვიკვინია ფიქრობს, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებაზე გავლენა სოფელში მერის წარმომადგენელმა იქონია. მისი თქმით, ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში, მარინა ლაგვილავა, მას ხშირად მიუთითებდა სკოლის იმ მასწავლებლებზე, რომლებსაც განსხვავებული, მთავრობისადმი კრიტიკული მოსაზრებები გააჩნდათ. ამასთანავე, არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, მერის წარმომადგენელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა სოფელში მიღებული შედეგის გამო, რაშიც ის ოპოზიციურად განწყობილ მასწავლებლებს ადანაშაულებდა. კვიკვინია იხსენებს, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მას 12 პედაგოგის სია წარუდგინეს და მიუთითეს, რომ აღნიშნული პედაგოგები „არასასურველ, თავისუფალ აზროვნებაში“ იყვნენ შემჩნეულნი. ყოფილი დირექტორის განმარტებით, ის ამ მიზეზით მარინა ლაგვილავას არაერთხელ შეწინააღმდეგებია. კვიკვინია მიიჩნევს, რომ სწორედ ეს შეიძლებოდა გამხდარიყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი.

4. ინგა ხუროშვილი - სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის მისაქციელის საჯარო სკოლა

ინგა ხუროშვილს შრომითი ხელშეკრულების მეორე 6-წლიანი ვადა 2020 წლის ოქტომბერში ეწურებოდა. ხუროშვილი ფიქრობდა, რომ რადგან ის ორი ვადით იყო სკოლის დირექტორი, მასთან შრომითი კონტრაქტი შესაძლოა აღარ გაგრძელებულიყო. მან ამის შესახებ წინასწარ, 2020 წლის

[18] რეკომენდაცია პოლიტიკური შეხედულების ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მიხეილ ჩხენკელს. 9 ივლისი, 2021 წ.

სასწავლო წლის დაწყებამდე ჰკითხა ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელს, გაგრძელდებოდა, თუ არა მასთან შრომითი კონტრაქტი და ხომ არ უნდა ეზრუნა პედაგოგის საათების მიღებაზე, ან სხვა სამსახურზე, რომ მოულოდნელად შემოსავლის წყაროს გარეშე არ დარჩენილიყო. ხუროშვილის თქმით, რესურსცენტრის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მას მხარდაჭერა ექნებოდა. თუმცა, 9 ოქტომბერს რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ხუროშვილს უთხრა, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად არ დაინიშნებოდა და რომ ამ რეალობის წინაშე ის „პარტიის შტაბში“ [ქართული ოცნება], მასთან შეუთანხმებლად დააყენეს.

ინგა ხუროშვილის ცნობით, მას 2-ჯერ წარმატებით აქვს ჩაბარებული დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდა, არაერთი მადლობა აქვს მიღებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან და გავლილი აქვს მრავალი საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის „ლიდერობის აკადემიის“ სამივე ეტაპი. 2012 წელს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, ხუროშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. ხუროშვილის თქმით, მისი დირექტორობის პერიოდში სკოლა ერთ-ერთი წარმატებული გახდა მუნიციპალიტეტში, სკოლის საუკუნოვან შენობას კი, პირველად ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია.

ინგა ხუროშვილი მიიჩნევს, რომ ის „არასასურველ“ დირექტორთა რიგებში მერის წარმომადგენლის, გოგიტა ქაშიაშვილის მიერ მოხვდა, რომელიც, ყოფილი დირექტორის ცნობით, აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან. ხუროშვილის თქმით, მას ქაშიაშვილთან უსიამოვნო დამოკიდებულება ჰქონდა, რაც გამომდინარეობდა ამ უკანასკნელის არაჯანსაღი ინტერესიდან სკოლის კუთვნილ ნაკვეთთან დაკავშირებით. კერძოდ, მერის წარმომადგენელს სკოლის ნაკვეთზე სოფლის სპორტული მოედნის მოწყობა სურდა, რასაც დირექტორი დასთანხმდა იმ პირობით, თუ მოედნის კარი სკოლისგან გამიჯნული იქნებოდა, რათა უცხო პირებს სკოლის ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობა არ მისცემოდათ. მეორე საკითხი სკოლის დამხმარე შენობა-ნაგებობებს (საპირფარეშოებს) შეეხებოდა, რომლის გასხვისებაც ქაშიაშვილს სურდა და რაზეც ის სკოლის დირექტორისგან წინააღმდეგობას წააწყდა.

ხუროშვილის ცნობით, ქაშიაშვილი სკოლაში მისთვის სასურველი პიროვნების, მმართველი პარტიის აქტივისტის დასაქმებასაც ითხოვდა. ყოფილი დირექტორი აღნიშნავს, რომ მან ეს მოთხოვნა არ შეასრულა, რადგან ის საკონკურსო კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა. ხუროშვილი დასძენს, რომ ყოველი არჩევნების წინ, ქაშიაშვილი მმართველი პარტიის ადგილობრივ საარჩევნო შტაბში ამბობდა, რომ ის სკოლას მმართველი პარტიის სასიკეთოდ ვერ მართავდა, რადგან სკოლა სავსე იყო ოპოზიციის მხარდამჭერებით.

ინგა ხუროშვილის თქმით, სკოლის რამდენიმე პედაგოგისგან მისთვის ცნობილი გახდა, რომ გოგიტა ქაშიაშვილი დირექტორის შემცვლელს ვადის ამოწურვამდე, დაახლოებით ერთი წლით ადრე ეძებდა და რამდენიმე მათგანს შესათავაზა კიდეც ეს თანამდებობა. თუმცა, საბოლოოდ, მოვალეობის შემსრულებლად იმავე მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზის არასრული საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი დაინიშნა, რომელსაც, ხუროშვილის ცნობით, დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული არ აქვს. მისი თქმით, ახალი დირექტორი მერის წარმომადგენლის ახლობელია.

ინგა ხუროშვილი მიიჩნევს, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის დასრულების მიზეზი ისიც გახდა, რომ ის პოლიტიკურად აქტიური არ იყო და პირდაპირი თუ ირიბი მინიშნებების მიუხედავად, არასდროს ახდენდა მმართველი პარტიის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად პედაგოგებზე ზეწოლას. ხუროშვილი ასევე ამბობს, რომ 2016 წელს მისი მამა შემთხვევით აღმოჩნდა ოპოზიციური კანდიდატის, ცეზარ ჩოჩელის მიერ სოფელში გამართულ შეხვედრაზე. შემდგომში, ჩოჩელის სააგიტაციო მასალაზე აღმოჩნდა ფოტო, სადაც აღბეჭდილია, როგორ ართმევს ხელს მისი მამა ცეზარ ჩოჩელს. ხუროშვილის თქმით, სააგიტაციო მასალის გამოქვეყნების შემდეგ, მას დაურეკეს და უთხრეს, რომ მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დიმიტრი ხუნდაძე ამ ფაქტის გამო ძალიან გაბრაზებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ხუროშვილის მამა გარდაცვლილია, იგივე ფოტო 2020 წელს ჩოჩელის სააგიტაციო მასალაზე კვლავ იყო გამოსახული.

5. მზია ბიჩინაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონის საჯარო სკოლა

თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონის საჯარო სკოლის დირექტორს, უფლებამოსილების მეორე, 6-წლიანი ვადა 11 მაისს ამოეწურა. იმავე დღეს, მან დოკუმენტების ბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე წვდომაც დაკარგა. ბიჩინაშვილის თქმით, მან ეს ამბავი ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელთან განიხილა, რომელმაც ურჩია, რომ მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ სამინისტროსთვის წერილობით მიემართა. ბიჩინაშვილმა რჩევა გაითვალისწინა და სამინისტროს შესაბამისი თხოვნით მიმართა. ყოფილი დირექტორის განმარტებით, სამინისტროს მის შესახებ დადებითი რეკომენდაცია რესურსცენტრმაც გაუგზავნა. ამის მიხედავად, ბიჩინაშვილი სკოლის მოვალეობის შემსრულებლად არ დაინიშნა.

მზია ბიჩინაშვილი თიანეთის მუნიციპალიტეტში ერთადერთია, რომელსაც სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულება არ დაეკისრა. ბიჩინაშვილის განმარტებით, მან იცოდა, რომ მეორე ვადის დასრულების შემდგომ კონკურსის წესით დირექტორად ვეღარ დაინიშნებოდა, თუმცა მის მიმართ სამინისტროს მოპყრობას ის მაინც დისკრიმინაციულად მიიჩნევს, რადგან მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა დირექტორებს მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობებზე საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცათ. ბიჩინაშვილის ცნობით, მას ორ საგანში აქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი და მისი სკოლა თიანეთის მუნიციპალიტეტში ყველაზე წარმატებულად მიიჩნეოდა. ბიჩინაშვილის თქმითვე, დირექტორად 25-წლიანი მუშაობის განმავლობაში მას შენიშვნა არ მიუღია და პასუხისმგებლობა არ დაკისრებია.

ბიჩინაშვილი თავს აპოლიტიკურ ადამიანად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ სკოლა პოლიტიკური პროცესებისგან განცალკევებული უნდა იყოს. ყოფილი დირექტორი ვარაუდობს, რომ შრომითი ურთიერთობის დასრულების მიზეზი, შესაძლოა სამინისტროსთვის მისი პოლიტიკური აქტიურობის შესახებ მიწოდებული არასწორი ინფორმაცია გამხდარიყო. ბიჩინაშვილი იხსენებს, რომ 2018 წელს მას საუბნო საარჩევნო კომისიის სკოლის შენობაში განთავსებასთან დაკავშირებით უთანხმოება მოუვიდა; ბიჩინაშვილის თქმით, საარჩევნო ადმინისტრაციას უბნის მოწყობა სპორტის დარბაზში სურდა, დირექტორი კი ამას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ის შიშობდა, რომ მოსწავლეებს აქტიურ სასწავლო პერიოდში სპორტული აქტივობისთვის სივრცე არ დარჩებოდათ. ბიჩინაშვილმა საარჩევნო უბნის შედარებით მცირე საკლასო ოთახში განთავსება ითხოვა, რის გამოც, ის საკრებულოში დაიბარეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. საბოლოოდ, დირექტორმა სპორტისთვის განკუთვნილი დარბაზი საუბნო კომისიას მაინც დაუთმო.

6. ლეილა ტაველური - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა

ლეილა ტაველური მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის დირექტორი 18 წლის განმავლობაში იყო. ტაველურს ორჯერ აქვს ჩაბარებული სკოლის დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდა და ორჯერ იყო კონკურსის წესით არჩეული დირექტორი. 2015 წელს, მისი დირექტორობისას, სკოლის ახალი შენობა გაიხსნა. ტაველურის თქმით, მისი სკოლა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სკოლად, თავად კი საუკეთესო დირექტორად მიიჩნეოდა; ტაველურის ცნობით, დირექტორად 18-წლიანი მუშაობის განმავლობაში მას არც რაიმე სახის შენიშვნა მიუღია და არც სხვა სახის პასუხისმგებლობა დაკისრებია. ტაველური ფიქრობს, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის დასრულებას საფუძვლად დისკრიმინაციული მოპყრობა უდევს. კერძოდ, ტაველური მის გათავისუფლებას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მისი ოჯახის შორეული ნათესავის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ცეზარ ჩოჩელის საარჩევნო კამპანიაში ჩართულობას უკავშირებს. ამასთანავე, ის ფიქრობს, რომ მისი თანამდებობიდან ჩამოცილების ინტერესი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადგილობრივ თანამშრომელს, ბორის ანდრიაშვილს ჰქონდა. ტაველურის თქმით, მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, სწორედ ანდრიაშვილის მეუღლე დაინიშნა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, რომელსაც სკოლის დირექტორის სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული არ აქვს.

7. ბელა ხუბუტია - თბილისის მე-10 საჯარო სკოლა

ბელა ხუბუტიას თბილისის მე-10 საჯარო სკოლის დირექტორობის 6-წლიანი ვადა 2020 წლის 8 სექტემბერს ამოეწურა. ხუბუტია ამბობს, რომ დირექტორების ნაწილმა მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის თხოვნით განცხადებების დაწერის მითითება მიიღო, თუმცა მას და კიდევ ხუთი სკოლის დირექტორს გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრიდან მსგავსი მითითება არ მიუღიათ. ხუბუტიას თანახმად, მან სამინისტროს მაინც მიმართა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა ითხოვა, თუმცა უშედეგოდ.

ხუბუტიას თქმით, ის ერთ-ერთ საუკეთესო დირექტორად მიიჩნეოდა; მისივე ცნობით, მისი დირექტორად მუშაობის განმავლობაში, მას არც რაიმე სახის შენიშვნა მიუღია და არც სხვა სახის პასუხისმგებლობა დაკისრებია.[19] ხუბუტია ფიქრობს, რომ შრომითი ურთიერთობების დასრულების ერთ-ერთი მიზეზი სკოლის შენობის თაობაზე სამინისტროსთან არსებული უთანხმოებაა. ყოფილი დირექტორის თქმით, 2017 წლიდან, ის, მოსწავლეების მშობლებთან ერთად, აქტიურად ითხოვდა სკოლის ავარიული შენობის გამაგრებას, თუმცა გამაგრების ნაცვლად, სამინისტრო მოსწავლეების სხვადასხვა სკოლებში გადანაწილებას სთავაზობდა. ხუბუტიას აზრით, ეს გადაწყვეტილება სკოლას დაშლიდა და ის მას არ ეთანხმებოდა.

შრომითი ურთიერთობების დასრულების გადაწყვეტილებას, ხუბუტია პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასაც უკავშირებს. მისი თქმით, ის Facebook-ის პირად ანგარიშზე ყოველთვის ღიად აფიქსირებდა პოლიტიკურ შეხედულებებს, მათ შორის მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკას; ხუბუტია ამბობს, რომ ამ უკანასკნელის შესახებ მისთვის პირად საუბრებში არაერთხელ მიუნიშნებიათ.

8. რამინ ჩიტიშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლა

რამინ ჩიტიშვილი სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე, კონკურსის წესით, 2014 წელს დაინიშნა. 2020 წლის ოქტომბრის დასაწყისში, მას ხელშეკრულების 6-წლიანი ვადა ამოეწურა, თუმცა მისთვის მოულოდნელად, მოვალეობის შემსრულებლად აღარ დანიშნეს. ამის შესახებ, მან სხვა სკოლის დირექტორისგან, შემთხვევით გაიგო. ჩიტიშვილმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა და იმავე სკოლაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა ითხოვა, თუმცა სამინისტროსგან არც წერილობითი და არც ზეპირი პასუხი არ მიუღია.

ჩიტიშვილი მიიჩნევს, რომ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მისი ნათესავის, ცეზარ ჩოჩელის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო მცხეთა-მთიანეთის სარჩევნო ოლქში. ჩიტიშვილი ამბობს, რომ ის არცერთი პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში არ ყოფილა აქტიურად ჩართული. ყოფილი დირექტორი დასძენს, რომ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეველი (დევნილობაში), ნუგზარ თინიკაშვილი მას მუდმივად სთხოვდა არჩევნების წინ სკოლის მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიების მიტანასა და საარჩევნო შეხვედრებზე წაყვანას, რასაც ის არ ასრულებდა. ჩიტიშვილის თქმით, ის ამის გამო არაერთხელ გაუფრთხილებიათ.

რამინ ჩიტიშვილი აღნიშნავს, რომ დირექტორობის პერიოდში ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სამჯერ დაიბარა და დირექტორის მოადგილედ მმართველი პარტიის აქტიური მხარდამჭერის, ირმა ტატიშვილის დანიშვნა მოითხოვა. საგულისხმოა, რომ ჩიტიშვილის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, მე-3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სწორედ ირმა ტატიშვილი გახდა.

[19] რა კითხვებს აჩენს საჯარო სკოლის დირექტორთა გათავისუფლების პროცესი; პუბლიკა; 10 სექტემბერი, 2020 https://publika.ge/ra-kitkhvebs-achens-sajaro-skolis-direqtorta-gatavisuflebis-procesi/